კონკურში მონაწილეთა საყურადღებოდ!

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის მეორე ეტაპი (ზეპირი დავალება/გასაუბრება) გაიმართება 2021 წლის 09 ივნისიდან 11 ივნისის ჩათვლით.

კონკურსანტი უნდა გამოცხადდეს, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქუჩა **N25** (მეორე სართული, საკრებულოს სხდომათა დარბაზი). რეგისტრაციისა და გასაუბრების გრაფიკი იხილეთ ოქმი N62-ის დანართი 1-ში.

კონკურსანტებმა უნდა იხელმძღვანელონ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მკაცრად განსაზღვრული მითითებებით:

- მაქსიმალურად დაიცვან სოციალური დისტანცია;
- მითითებისთანავე ჩაიტარონ თერმოსკრინინგი;
- მუდმივად ეკეთოთ პირბადე, როგორც რეგისტრაციის დროს, ასევე გასაუბრების მიმდინარეობისას;
- მითითების შემთხვევაში დაიმუშაონ ხელები ადგილზე განთავსებული სადეზინფექციო ხსნარით;

კონკურსანტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პასპორტი ან/და პირადობის მოწმობა ან/და მართვის მოწმობა). პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის გარეშე პირი ზეპირი დავალება/გასაუბრებაზე არ დაიშვება. კონკურსანტი, რომელიც გრაფიკით დადგენილ დროში არ გაივლის რეგისტრაციას, ზეპირი დავალება/გასაუბრებაზე არ დაიშვება. გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად მიზეზისა (საპატიო თუ არასაპატიო) მონაწილე ფასდება 0 ქულით.